



მონაცემთა გაცვლის სააგენტო

WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #68 ოქტომბერი, 2018

გამოშვებაში

„მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა“ და გაეროს უნივერსიტეტის ელექტრონული მმართველობის განყოფილებას (UNU-EGOV) შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

1

„მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა“ და გაეროს უნივერსიტეტის ელექტრონული მმართველობის განყოფილებას (UNU-EGOV) შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა



2018 წლის 8-10 ოქტომბერს პორტუგალიის ქ. გიმარაეშში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ წარმომადგენლებმა სამუშაო შეხვედრები გამართეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსიტეტის ელექტრონული მმართველობის განყოფილებაში (UNU-EGOV) და ხელი მოაწერეს თანამშრომლობის

„მონაცემთა გაცვლის სააგენტომ“ ცესკოს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის აუდიტი ჩაატარა

3

მემორანდუმს, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, ასევე გულისხმობს მხარეებს შორის საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარებას ელმმართველობისა (e-Governance) და კარგი მმართველობის (Good Governance) მიმართულებით.

კიბერპიჯიენისა და კიბერბულინგის თემაზე ყვარლის იუსტიციის სასწავლო ცენტრში სკოლის მოსწავლეებისთვის სემინარი ჩატარდა

4

ვიზიტის ფარგლებში სააგენტოს წარმომადგენლებმა მასპინძელ მხარეს ასევე გააცნეს ელმმართველობის მიმართულებით საქართველოს მიერ მიღწეული წარმატებები და სპეციალურად მათთვის მომზადებული სატრენინგო კურსიც გაიარეს.

„ჩვენი სააგენტო აქტიურად მუშაობს ქვეყანაში ელექტრონული მმართველობისა და კიბერუსაფრთხოების კომპეტენციის ცენტრის შექმნაზე, რომელიც თავს მოუყრის ქვეყნის მიღწევებისა და მნიშვნელოვანი რეფორმების შესახებ ინფორმაციას/ ცოდნას და შექმნის პლატფორმას, რათა ჩვენი გამოცდილება გავუზიაროთ სხვადასხვა დაინტერესებული ქვეყნის წარმომადგენლებს (გაგრძელება გვ. 2)



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge




www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge

www.eAuction.ge ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1) და დავეხმაროთ მათ საქართველოში უკვე განხორციელებული წარმატებული რეფორმების იმპლემენტაციის მიმართულებით. სააგენტოსთვის ძალზედ მნიშვნელოვანია UNU-EGOV-ის მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა, რადგან შესაძლებლობა მოგვცა ქვეყნის მიღწევებისა და რეფორმების შესახებ UNU-EGOV-ის სპეციალისტებისთვის ამომწურავი ინფორმაცია მიგვეწოდებინა. გარდა ამისა, მასპინძლებმა ჩვენც გაგვიზიარეს მათი საუკეთესო გამოცდილება რიგი საკითხების მიმართულებით, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) საქართველოს ოფისს სამუშაო ვიზიტის ორგანიზებაში გაწეული დახმარებისთვის“, - ნიკოლოზ გაგნიძე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარე.

ვიზიტის ფარგლებში „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ წარმომადგენლებმა გაიარეს UNU-EGOV-ის სპეციალისტების მიერ მომზადებული სატრენინგო პროგრამა, რომელიც ფარავდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა გონივრული ინიციატივები, ღია მთავრობისა და ღია მონაცემების კონცეფცია და გამოწვევები, ასევე ადგილობრივ მმართველობასთან დაკავშირებული საკითხები და ელექტრონული სერვისების მიწოდების საშუალებები.

UNU-EGOV-ი, რომელიც გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით 1972 წელს დაარსდა, ფლობს დიდ გამოცდილებასა და ადამიანურ რესურსს საჯარო მმართველობის, ელმმართველობის, ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში სამეცნიერო დონეზე კვლევისა და ანალიზის თვალსაზრისით. UNU-EGOV-ი საერთაშორისო დონეზე აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციასთან ელმმართველობის განვითარების გზაზე წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტის მიმართულებით. UNU-EGOV-ი ელმმართველობის საკითხებზე მომუშავე ავტორიტეტული კომპეტენციის ცენტრია და აქტიურად ეხმარება სხვადასხვა ქვეყნის უწყებებს ელექტრონული მმართველობის, ინოვაციური საჯარო სერვისების მიწოდებისა თუ სხვა პრიორიტეტული მიმართულებების განვითარებასა და დანერგვაში. მათივე აქტიური ძალისხმევით ტარდება საერთაშორისო დონის შეხვედრები და კონფერენციები (მაგ.: კონფერენციათა ციკლი ICEGOV, რომელშიც სისტემატურად მონაწილეობს „მონაცემთა გაცვლის სააგენტოც“).



“მონაცემთა გაცვლის სააგენტომ” ცესკოს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის აუდიტი ჩაატარა



უსაფრთხოების მართვის სისტემის აუდიტი ჩაატარეს.

მიმდინარე წლის 16-19 ოქტომბერს სასტუმრო „კაჭრეთი ამბასადორში“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს თანამშრომლებმა, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შიდა აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ კანონთან და კანონქვემდებარე აქტებთან შესაბამისობაზე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციული

აუდიტს წინ უძღვოდა სააგენტოს თანამშრომლების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის აუდიტის პრეზენტაცია. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის (იუმს) დოკუმენტაციის შემოწმება „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე - კერძოდ, იუმს დოკუმენტების მართვის პროცედურა, გავრცელების სფერო, პოლიტიკა, რისკების მართვის მიდგომა და ა.შ. დოკუმენტაციის აუდიტის შემდგომ კი განხორციელდა აუდიტის მეორე ეტაპი, რაც ორგანიზაციის ჩანაწერების აუდიტს გულისხმობს.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, რაც ორგანიზაციას საშუალებას აძლევს დაიცვას ინფორმაციული აქტივები როგორც შიდა, ისე გარე საფრთხეებისგან. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატმა შეიმუშავა და დანერგა ეფექტიანი და ქმედითი ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს სახელმძღვანელოს ინფორმაციული სისტემების მართვისა და დაცვის პროცესში.

აუდიტის დასრულების შემდეგ კანონის მოთხოვნებთან კიდევ უფრო მეტი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს და დაადასტურეს მზაობა მომდევნო აუდიტის ჩასატარებლად.



კიბერჰიგიენისა და კიბერბულინგის თემაზე ყვარლის იუსტიციის სასწავლო ცენტრში სკოლის მოსწავლეებისთვის სემინარი ჩატარდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფის (CERT.GOV.GE) მენეჯერმა, **დავით ქვათაძემ** იუსტიციის სასწავლო ცენტრის ყვარლის ფილიალში სკოლის მოსწავლეებისთვის სემინარი ჩატარა, რომელიც კიბერჰიგიენისა და კიბერბულინგის საკითხებს მიეძღვნა. სემინარი პროექტის „ესეების კონკურსის“ ფარგლებში ჩატარდა და მას სხვადასხვა საჯარო და კერძო სკოლის 30-ზე მეტი მოსწავლე დაესწრო.



სემინარის მიმდინარეობისას მოსწავლეებს

მიეწოდათ ინფორმაცია ყველა იმ ძირითადი კომპონენტის შესახებ, რომელთა გათვალისწინებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში პირადი კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

„მოხარული ვარ, რომ მოსწავლეთა შორის ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით ინტერესი განსაკუთრებით დიდია. ეს, ერთი მხრივ მისასალმებელია და სხვაგვარად 21-ე საუკუნეში ცხოვრება წარმოუდგენელიცაა, მეორე მხრივ კი ტექნიკის თანამედროვე მიღწევების არასწორ გამოყენებასა და გარკვეული ნორმების დაუცველობას სერიოზული საფრთხეებიც ახლავს. დღევანდელ შეხვედრაზე ჩვენ ვისაუბრეთ კიბერჰიგიენის, კიბერბულინგისა და, ზოგადად, კიბერუსაფრთხოების შესახებ, მიმოვიხილეთ პოტენციური რისკები და ყურადღება გავამახვილეთ იმ ძირითად უნარ-ჩვევებზე, რომელთა გამომუშავებასა და სწორად გამოყენებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ყოველდღიურ ცხოვრებაში კომპიუტერთან მუშაობისა თუ მობილური მოწყობილობების გამოყენებისას“, - **დავით ქვათაძე**, კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფის (CERT.GOV.GE) მენეჯერი.

მოსწავლეები ასევე გაეცნენ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ დაქვემდებარებაში მოქმედი კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფის (CERT.GOV.GE) ფუნქციებსა და მუშაობის სპეციფიკას.



იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.my.gov.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

უნივერსიტეტის ქ. 50
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ **“Subscribe”** ან დაარეგისტროთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება